

ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება 2 (C#-ის ბაზაზე)
II სემესტრი.2018-2019 წელი
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

წინაპარი არის კლასი, რომლის:

აირჩიეთ ერთი:

- a. მხოლოდ ცვლადები ხდება სხვა ახალი კლასის წევრები
- b. ცვლადები და მეთოდები ავტომატურად არ ხდება სხვა ახალი კლასის წევრები
- c. ცვლადები და მეთოდები ავტომატურად ხდება სხვა ახალი კლასის წევრები

კითხვა 2

```
class klasi1 { private int cvladi1; }  
class klasi2 : klasi1 { public int cvladi2; }  
კოდში:
```

აირჩიეთ ერთი:

- a. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი უხილავია klasi2 კლასში
- b. klasi2 კლასის cvladi2 ცვლადი ხილულია klasi1 კლასში
- c. klasi1 კლასის cvladi1 ცვლადი ხილულია klasi2 კლასში

კითხვა 3

რომელი მსჯელობაა სწორი:

აირჩიეთ ერთი:

- a. მემკვიდრე კლასი შეიძლება იყოს წინაპარი სხვა კლასებისათვის
- b. მემკვიდრე კლასი არ შეიძლება იყოს წინაპარი სხვა კლასებისათვის
- c. წინაპარი კლასი არ შეიძლება იყოს მემკვიდრე სხვა კლასებისათვის

კითხვა 4

თუ მემკვიდრე კლასი არ ახდენს წინაპარი კლასის აბსტრაქტული მეთოდების რეალიზებას, მაშინ ეს მემკვიდრე კლასი გამოცხადებული უნდა იყოს როგორც:

აირჩიეთ ერთი:

- a. სტატიკური
- b. აბსტრაქტული
- c. ვირტუალური

კითხვა 5

თვისება არის კლასის წევრი, რომელიც საშუალებას გვაძლევს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ვიმუშაოთ მხოლოდ წილადებთან

- b. ვიმუშაოთ მხოლოდ მასივებთან
- c. მეთოდების საშუალებით მივიღოთ ან შევცვალოთ ცვლადების მნიშვნელობები

კითხვა 6

ბინარული ოპერატორების გადატვირთვისას:

აირჩიეთ ერთი:

- a. ერთ-ერთი ოპერანდი უნდა იყოს წილადი ტიპის
- b. ერთ-ერთი ოპერანდი უნდა იყოს მთელი ტიპის
- c. ერთ-ერთი ოპერანდის ტიპი უნდა ემთხვეოდეს იმ კლასის ტიპს, რომლისთვისაც ხდება ოპერატორის ხელახალი განსაზღვრა

კითხვა 7

დელეგატი არის ობიექტი, რომელიც:

აირჩიეთ ერთი:

- a. მეთოდს არ მიმართავს
- b. ობიექტს მიმართავს
- c. მეთოდს მიმართავს

კითხვა 8

ფართოსამაუწყებლო მოვლენა ბევრ ობიექტს საშუალებას:

აირჩიეთ ერთი:

- a. არ აძლევს რეაგირება მოახდინოს მოვლენის შესახებ უწყებაზე
- b. აძლევს რეაგირება მოახდინოს მოვლენის შესახებ უწყებაზე
- c. აძლევს რეაგირება არ მოახდინოს მოვლენის შესახებ უწყებაზე

კითხვა 9

რომელი მსჯელობაა სწორი:

აირჩიეთ ერთი:

- a. მოვლენა არის სტატიკური მეთოდის რეალიზება
- b. მოვლენა არ არის ავტომატური უწყება რაიმე მომხდარ მოქმედებაზე
- c. მოვლენა არის ავტომატური უწყება რაიმე მომხდარ მოქმედებაზე

კითხვა 10

```
public interface ChemiInterpeisi { ... }
class Klasi1 : ChemiInterpeisi { ... }
class Klasi2 : ChemiInterpeisi { ... }
{
Klasi1 Samkutxedi = new Klasi1(gverdi1, gverdi2, gverdi3);
Klasi2 Otxkutxedi = new Klasi2(gverdi1, gverdi2);
ChemiInterpeisi obieqti;
obieqti = Samkutxedi;
```

```
obieqti = Otxkutxedi;  
}
```

კოდში obieqti ობიექტი გამოცხადებულია როგორც:

აირჩიეთ ერთი:

- a. მიმართვა Otxkutxedi ინტერფეისზე
- b. მიმართვა ChemiInterpeisi ინტერფეისზე
- c. მიმართვა Samkutxedi ინტერფეისზე

კითხვა 11

სახელების სივრცე კლასების სახელებს შორის კონფლიქტს:

აირჩიეთ ერთი:

- a. იწვევს
- b. თავიდან არ გვაცილებს
- c. თავიდან გვაცილებს

კითხვა 12

განსაკუთრებული სიტუაცია არის სიტუაცია, რომელიც:

აირჩიეთ ერთი:

- a. არ არის გამოწვეული პროგრამის შესრულების დროს აღძრული შეცდომის მიერ
- b. გამოწვეულია პროგრამის შესრულების დროს აღძრული შეცდომის მიერ
- c. არ იწვევს პროგრამის ავარიულად დამთავრებას

კითხვა 13

finally ბლოკის კოდი:

აირჩიეთ ერთი:

- a. ყოველთვის შესრულდება
- b. შესრულდება მხოლოდ catch ოპერატორში
- c. არასოდეს არ შესრულდება

კითხვა 14

C#-პროგრამები მონაცემების შეტანა-გამოტანას ახდენს:

აირჩიეთ ერთი:

- a. მოვლენების საშუალებით
- b. ნაკადების საშუალებით
- c. ინდექსატორების საშუალებით

კითხვა 15

TextReader კლასის Read() მეთოდი:

აირჩიეთ ერთი:

- a. წერს შესასვლელი ნაკადის მომდევნო სიმბოლოს და გასცემს მის მთელრიცხვა წარმოდგენას
- b. კითხულობს შესასვლელი ნაკადის მომდევნო სიმბოლოს და გასცემს მის მთელრიცხვა წარმოდგენას
- c. კითხულობს შესასვლელი ნაკადის მომდევნო სიმბოლოს და გასცემს მის წილად წარმოდგენას

კითხვა 16

რომელი მსჯელობაა არასწორი:

აირჩიეთ ერთი:

- a. ფაილებთან შესაძლებელია პირდაპირი მიმართვა
- b. ფაილებთან შესაძლებელია ლოგიკური მიმართვა
- c. ფაილებთან შესაძლებელია მიმდევრობითი მიმართვა

კითხვა 17

FileInfo კლასის Name თვისება:

აირჩიეთ ერთი:

- a. გასცემს ფაილის ზომას
- b. გასცემს ფაილის გაფართოებას
- c. გასცემს ფაილის სახელს

კითხვა 18

მონაცემების სინქრონული შეტანა-გამოტანის დროს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ჩერდება პროგრამის შესრულება
- b. იწყება პროგრამის შესრულება
- c. არ ჩერდება პროგრამის შესრულება

კითხვა 19

MemoryStream კლასის SetLength() მეთოდი ახდენს:

აირჩიეთ ერთი:

- a. ბუფერის ზომის გაზრდას
- b. ბუფერის ზომის შემცირებას

კითხვა 20

e.Graphics.FillRectangle(System.Drawing.Brushes.Green, 5, 10, 20, 20) მეთოდში რას განსაზღვრავს 5,10 პარამეტრი

აირჩიეთ ერთი:

- a. კოორდინატებს
- b. მართკუთხედის ზომას